


ლიცენზიის HASP გასაღების და მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებული დეტალები

ერთ მომხმარებელიანი ლიცენზიის შემთხვევაში ერთი და იგივე კომპიუტერზე უნდა განლაგდეს როგორც HASP გასაღები ასევე მონაცემთა ბაზა. მონაცემთა ბაზა შესაძლებელია იყოს როგორც SQLCE ასევე MSSQL .


მომხმარებლების ქსელში ერთდროული მუშაობისთვის სასურველია გამოყენებული იქნეს სერვერ კომპიუტერი, რომელზეც არ იმუშავებს არცერთი მომხმარებელი. დასაშვებია ამ კომპიუტერზე მიუერთდეს ლიცენზიის HASP გასაღები და ამავე სერვერზე განლაგდეს მონაცემთა ბაზაც. თუმცა შესაძლებელია HASP გასაღები და მონაცემთა ბაზა განათავსოთ სხვადასხვა სერვერებზე.

ლიცენზიის HASP გასაღების დეტალები

არსებობს შემდეგი ტიპის HASP გასაღებები:



"ორის ბუღალტერია 7" არ მუშაობს 1 და 2 ტიპის გასაღებით, ასევე ზოგიერთი 3 ტიპის გასაღებით, რომლის ვერსიაც ნაკლებია 3.25-ზე. გასაღების ვერსიის დასადგენად გამოიძახეთ Internet explorer ან Google Chrome. მისამართში მიუთითეთ: <http://localhost:1947> . გასაღები მოძველებულია თუ ბმულზე გასვლის შემდეგ მენიუში "sentinel Keys" არ გამოჩნდა გასაღებების ჩამონათვალი ან ველში Version წერია 3.25-ზე ნაკლები ციფრი. ამ შემთხვევებში უნდა შეიძინოთ ახალი გასაღები.



4 ტიპის გასაღებით მუშაობს "ორის ბულალტერია 7".

ქსელური ვერსიისთვის სერვერ კომპიუტერზე, სადაც HASP მონყობილობა იქნება მიერთებული, საჭიროა ლიცენზიების მენეჯერი ინსტოლირება. გაითვალისწინეთ, რომ „ორის ბულალტერია“ მე-7 ვერსიას აქვს მე-5 ვერსიისგან განსხვავებული ლიცენზიების მენეჯერი (OrisHLM).

ლიცენზიების მენეჯერის (OrisHLM) ახალი ვერსიის ინსტოლაციისას შესაძლოა ძველი ლიცენზიების მენეჯერი, უფლებების გამო, არ წაიშალოს. ლიცენზიის მენეჯერის ვერსიის შესამოწმებლად მოძებნეთ ფაილი C:\Program Files (x86)\OrisHLMSetup\ OrisHLM.exe-ს რომლის პარამეტრებშიც (properties-details-product version) იხილავთ მის ვერსიას. ლიცენზიის მენეჯერის ამოსატვირთად:

1. უნდა გავაჩეროთ ლიცენზიების მენეჯერის სერვისი (Control Panel\All Control Panel Items\Administrative Tools\services\OrisHLM stop)
2. ამოვტვირთოთ პროგრამებიდან (Control Panel\All Control Panel Items\Programs and Features\OrisHLM - uninstall)
3. წავშალოთ საქაღალდე C:\Program Files (x86)\OrisHLMSetup
4. დავაყენოთ ახალი ვერსია.

რაც შეეხება HASP დრაივერს, თუ კომპიუტერზე დაყენებულია ძველი HASP დრაივერი, შესაძლოა მე-5 ვერსიის სისტემა გაიხსნას, ხოლო მე-7 არა რადგან მას ესაჭიროება 6.60 ვერსიის დრაივერი. დრაივერის 6.60 ვერსიით იმუშავებს როგორც მე-5 ასევე მე-7 ვერსიის სისტემაც. დრაივერის ვერსიის სანახავად შეგიძლიათ გაუშვათ c:\ORIS Accounting 7.0\Utilities\hasp_info.bat ფაილი. დრაივერის ამოსატვირთად c:\ORIS Accounting 7.0 \Utilities\ hasp_unreg.bat ფაილი. დრაივერის დასაინსტოლირებლად c:\ORIS Accounting 7.0\Utilities\ haspreg.bat ფაილი.

ქსელში არსებული კომპიუტერიდან სერვერ კომპიუტერის ლიცენზიების მენეჯერთან დაკავშირების პრობლემა შესაძლოა შეიქმნას თუ სერვერის Firewall-ი ბლოკავს პორტს 1961. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში რომ დარწმუნდეთ, რომ პორტის პრობლემაა, დროებით გამორთეთ Firewall-ი, თუ პრობლემა მოგვარდა, შემდეგ პორტების გასახსნელად Windows Firewall/Advanced settings/Inbound Rules/Add New Rule აირჩიეთ port->Does This rule TCP, specific local port-ში ჩაუნერეთ პორტის ნომერი, მიუთითეთ დასახელება და finish. პორტების გახსნის შემდეგ შეგიძლიათ ჩართოთ Firewall-ი.

მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებული დეტალები

ქსელში არსებული კომპიუტერიდან სერვერ კომპიუტერის მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებისას შეიძლება შეიქმნას პრობლემა თუ სერვერის Firewall-ი ბლოკავს SQL-ის პორტს 1434. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში რომ დარწმუნდეთ, რომ პორტის პრობლემაა, დროებით ჩახსენით Firewall-ი, თუ პრობლემა მოგვარდა, შემდეგ პორტების გასახსნელად Windows Firewall/Advanced settings/Inbound Rules/Add New Rule აირჩიეთ port->Does This rule TCP, specific local port-ში ჩაუნერეთ პორტის ნომერი, მიუთითეთ დასახელება და finish. პორტების გახსნის შემდეგ შეგიძლიათ ჩართოთ Firewall-ი.

სერვერ კომპიუტერზე შეგიძლიათ დააინსტოლიროთ სისტემა და მიმართოთ იმავე კომპიუტერზე არსებულ MSSQL მონაცემთა ბაზას. იგივე დაკავშირება შეგიძლიათ განახორციელოთ ერთ მომხმარებლიანი ლიცენზიის შემთხვევაშიც. მონაცემთა ბაზასთან კავშირის პარამეტრებში შეგიძლიათ გამოიყენოთ Windows -ის ავტორიზაცია. ქსელში არსებული სხვა კომპიუტერებიდან სერვერზე განლაგებულ ბაზასთან დასაკავშირებლად უნდა მიუთითოთ მომხმარებელი და პაროლი (default: user- **sa** ; pass - **Oris@1992@Oris**). ზოგიერთ Windows-ზე, განსაზღვრული უფლებების გამო, შესაძლოა სერვერიდან მიმართვის დროსაც Windows -ის ავტორიზაცია არ იყოს საკმარისი და დაგჭირდეთ მომხმარებლისა და პაროლის მითითება. ამისათვის მონაცემთა ბაზის კავშირის პარამეტრების ეკრანზე, ჩადგმულ გვერდზე [სხვადასხვა] - დააჭირეთ ღილაკს [დავუშვათ SQL Server-ის და Windows-ის ავთენტიფიკაცია] და შემდეგ შეგიძლიათ მიუთითოთ მომხმარებელი და პაროლი.